№ 193 სექტემბრის 6, ხუთშაბათი. 1866—1884 სექტემბრის 6, ხუთშაბათი. № 193

თბილისი

„დროების“ რედაქცია — სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე, რა ასოთიც განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების“ ფასი სექტემბრის 1-დამ წლის დამლევამდე 4 მანათი.

გამოვიდა და იყიდება

„დედანი“

ქართული წერისა

შედგენილი იაკობ გოგებაშვილისაგან. ფასი ექვსი შაური. ვინც ერთად იყიდის არა ნაკლებ ოცი ცალისა, დედანი დაუთმობა ხუთ შაურად. მასწავლებელთათვის დარიგებით (რომელიც იბეჭდება) ეღირება ორ აბაზად. დარიგების ფასი ცალკე სამი შაურია. (3—3)

## შინაური ქრონიკა.

═ მეორედ მომხდარ გაჭირობის შემდეგ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკს გაუყიდავი დარჩა თორმეტ მამულამდე; მათ შორის ორი თბილისშია და დანარჩენი, ზოგი ქუთაისში, ზოგი ქუთაისის გუბერნიაში.

═ თბილისში იმყოფება ამ ჟამად სტუმრად მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-ადიუტანტი თ. დოლგორუკოვი. რამდენიმე დღის შემდეგ იგი აპირობს სამზღვარ გარედ წასვლას.

═ ამ დღეებში გაიარეს თბილისზედ ინგლისელი კომისარი სერ პიტერ ლემსდენი თავის ამალით. იგი მიდის ავღანისტანის სამზღვარზედ, რათა რუსის კომისარებთან ერთად განსაზღვროს ეს ქვეყანა რუსეთის მიერ ახლად შეძენილ ქვეყნებისაგან. დანიშნულ ადგილზედ ლემსდენს დახვდება მთელი რაზმი ინდოეთიდამ წამოსული ჯარისა, რომელმაც უნდა დაიცვას კომისრები, თუ, ვინიცობაა, ავღანელები თავ-დასხმას განიზრახვენ.

═ სექტემბრის 11-დამ სახელმწიფო ბანკის განყოფილებასთან, თბილისში, გაიხსნება შემნახავი კასსა, რომელშიაც შეუძლიან ფულის მიბარება ყველას, ვინც კი ისურვებს. ერთბაშად შეიძლება შეტანა 25 კაპეიკიდამ 50 მანათამდე. ფულის შემტანნი მიიღებენ წელიწადში 4%. კასსა ღია იქნება კვირაში ორჯერ, სამშაბათობით და პარასკევობით, დილის 9—1 საათამდე. („კავკაზი“).

═ ს. ვეჯინიდამ სწერენ გაზეთ „კავკაზს“, რომ ამ დღეებში იქ მოსდებია ცეცხლი გლეხ-კაცების წნულ სახლებს და 16 სახლი სრულიად გადამწვარა. მიზეზად ის ყოფილა, რომ ერთი დედა-კაცი თურმე შინდს სთუთქავდა და უეცრად ცეცხლი წნულ კედლებს მოედო. სახლებთან ერთად დამწვარა ავეჯეულობა და ყოველისფერი, რაც კი შიგ ყოფილა. თექვსმეტი კვამლი კაცი დარჩენილა უბინაოდ და ულუკმა-პუროდ. სიღნაღის ნაწილის მოურავს უფროსს და ენისელის მოურავს ეტრაფი (ავტორი)... შენიშვნის ავტორი მოიწვევს გულ-შემატკივართ პირთ შეეწიონ გადამწვარებს, რითაც კი შეუძლიანთ: ფულით, ძველი საფენით, ტანისამოსით და სხვ. შეწირული ნივთები უნდა გაეგზავნოს სიღნაღზედ ს. ვეჯინს, გიგო ტარუღოვს.

═ ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ პრიკაზის გაუქმების შემდეგ დაგირავებული მამულების საქმე გადაეცემა სახელმწიფო ბანკის აქაურ განყოფილებას; მაგრამ დღემდის გადაწყვეტილი არ იყო, რა დაწესებულებას უნდა მიეღო პრიკაზისაგან ნივთების დაგირავების საქმე, რომელიც მამულების დაგირავებაზე არა ნაკლებს საჭიროებას შეადგენს თბილისის მცხოვრებთათვის. ყველა გაჭირვებულებმა იციან, თუ რა უღმერთო სარგებელს იღებენ ვერძო მსესხებელნი მაშინაც კი, როდესაც მათგან აღებულ სესხში ერთი ორად და სამად მეტად ღირებულს ნივთს წარუდგენენ.

ამ გაჭირვების თავიდამ ასაცილებლად ქალაქის გამგეობა მართავს საქალაქო მსესხებელ ხაზინას, რომელიც მიიღებს გირაოდ ოქრო-ვერცხლის და სხვა ნივთეულობას. საქალაქო ხაზინა გადაახდევინებს მსესხებლებს 12% და, რაც წმინდა მოგება დარჩება, სხვა-და-სხვა საქველმოქმედო დაწესებულებას მოახმარებს. ძირის ფულად ხაზინისა იქნება 80,000 მანათი ნაღდი და 220,000 მანათის ნივთეულობა, რომელსაც პრიკაზი გადასცემს მას. საქალაქო ხაზინა გადაუხდის ამ ფულს მთავრობას 20 წლის განმავლობაში.

წარსულს ორშაბათს ამ ფრიად საჭირო საგანზედ ჰქონდა სჯა ქალაქის საბჭოს და თითქმის შეუცვლელად მიიღო.

## «დროების» ფელეტონი, სექტ. 6-ს.

## ქუთათური ფელეტონი

(წერო-გამოშვებითი წერილები ქუთაისის ავ-კარგიანობაზე)

წინა-სიტყვაობის მაგიერ.—ძველი და ახალი წესი პირობის აღსრულებისა.—ულვაშის ბეწვი და „ვექსილიანი“ პირობა.—„პადლოგების“ გავრცელება.—„მრგვალი ხელის“ შემოღება სკოლებში.—რა უბედურება მოსდევს ამას?—მეცნიერებას სარგებლობასთან ვნებაც მოაქვს.—ორპირის ქუჩა.—დიდებული წარსული და სამწუხარო აწმყო ამ ქუჩისა.—სასაცილო და სამწუხარო სურათები ამ ქუჩაზედ.—განცხადება ქალაქის პატრონისა ორ-პირის ქუჩაზედ გემების იჯარით აღებაზე.—კრება კათოლიკეთა და მისი გარდაწყვეტილებანი.—მოულოდნელი გამარჯვება კომიტეტისა.—ქადაგება პატრისა.—კათოლიკე ქალების დეპუტაცია რევიზორთან.—დაჩუმება სჯობია.

«პირობა კაცს ცოლს წაართმევსო», ნათქვამია, და მეც ამ ანდაზას მივსდევ, თუმცა ეხლანდელი დრო ისეთია, რომ პირობის დარღვევა კაცს არამც-თუ ცოლს არ ართმევს, არამედ პირ იქით.. სხვას, ცოლზედ უფრო უძვირფასესს,—ნივთიერს საუნჯეს მიანიჭებს ხოლმე პირობის დამარღვეველსა—(ვექსილის მიმართულებაზედ მოგახსენებთ). მაშასადამე, ცხადია, რომ ზემოხსენებული ანდაზა გამოგონილია ჩვენის ხალხის გენიისაგან იმ ბედნიერს დროს, „როს ერთგულება, ვაჟკაცობა, მამულის სიყვარული და ზნეთ ამაღლება ქართველთ თვისებას შეადგენდენ“; იმ ბედნიერს და სანატრელს (ზნეობის მხრით) დროს, როდესაც პირობის აღსრულების და ახლანდელის ნოტარიუსებში შემოწმებულ «ვექსელების» მაგიერობას ულვაშის ბეწვი სჩადიოდა საქართველოში... ჩვენს დროში?—ცალი ბეწვი-კი არა—კაი ლაზათიანი «გარდანქეშანებრივი» წვერ-ულვაში რომ მთლად გაძლიოს თავდებად კაცმა, არ უნდა ერწმუნო მაინც, და თითი ნოტარიუსისკენ გაუშვირო—თუ პირობას მაძლევ—აგე იქ დამიმტკიცეო! დიაღ, ახლანდელს დროში «უპატენტოდ» და უბეჭდოდ აღარა შესრულდება-რა, ხშირად ვექსელიანი პირობაც კი გაფუჭსავატდება ხოლმე, თორემ «პირის» გაცრუებას ხომ ვინღა ჩივის... ზოგიერთს კაცს რომ უთხრა ანდაზის ძალით, პირობის დარღვევისათვის ცოლი უნდა წაგერთვასო,—ხმას არ გაგცემს და მადლობასთან ერთად, „ფაეტონის“ ფულსაც მოგცემს, ოღონდ თავიდამ მომაშორეო,—ასე აქვთ თავი მობეზრებული ცოლთაგან ზოგიერთს ქმრებსა.... მაგრამ.. ცოლ-ქმრობაზედ შემდეგისთვის გადავსდვათ საუბარი და ჩვენი გავაგრძელოთ...

***

მაინც ლაპარაკმა მოიტანა და ორიოდე სიტყვას «ვექსილებზედ» მოგახსენებთ. რაც ახალი სასამართლოები და, ამასთანავე, „ვექსილები“ შემოიღეს, ბატონო, ჩვენში ერთი საშინელი და საძაგელი სენი შემოვიდა:—მე მოგახსენებთ ესრედ-წოდებულს «პადლოგებზედ». ვერ ნახავთ გამომძიებელს (слѣдователь), რომ რამდენიმე გამოსაძიებელი საქმე არა ჰქონდეს «პადლოგებზე», რომელნიც მრავალ-გვარნი არიან: ერთი «უფულო ვექსილზედ» ჩივის — ჩემი მიცემული არ არისო, — რადგანაც ამით უნდა ერთი-ორად აილოს ფული მოვალისაგან, მეორე არდგენს სამოცის თუმნის თამასუქს თავის ბიძაზედ—ამდენი მართებსო, თუმცა სამოცი გროშიც არ უსესხებია და მოწმეებადაც «სათოკე» პირთ უწერიათ ხელი. მესამე მოიქრე ხორაგეულობით—თავის დავთარში ჩაამწკრივებს რამდენიმე ათის თუმნის ნისიას და ბოლოს რომელიმე თავის მუშტრის ვითომ და ხელს აწერს—«ამდენი ნისია მაქვს ამა-და-ამისაო»... და, კიდევ, ვინ იცის, რამდენი სხვა-და-სხვა. და ყველა ამ გვარმა „პადლოგებმა“ უნდა ჩანთქან მრავალი დრო მაძიებელთა, თუ ექსპერტებისა, და ბოლოს ხშირად „ჩაილურის“ წყალი დალიონ... კიდევ, მადლობა ღმერთს, რომ ამ ჟამად მომეტებულ ნაწილს «პადლოგების» შემდგენელთა იცნობდენ ხოლმე უხეიროდ მიმსგავსებულის ხელის მოწერით, მაგრამ შენი მტერი, თუ, როგორც გვპირდება ბ. ზადალმელი, მართლა ისეთი მრგვალი წერა უნდა შემოვიღოთ ჩვენში, რომლის წყალობითაც „უმეტესს ნაწილს მოსწავლეებისას შეუძლიან მრგვალის ხელით წერა ერთ-ნაირად ისწავლოს, რადგანაც მრგვალის ხელის წერის დროს ყველა ანბანის ნაწილები წვერ-მოჭრილის კალმის გასმა-გამოსმაზედ ჰკიდია» («დროება» № 182, წერილი—«მრგვალი ხელი»). თუ ასე იქმნა, აბა მაშინ უყურეთ „პადლოგების“ გამრავლებას! თუ მართლა «მრგვალის ხელის» წერის დროს ანბანების ნაწილების ერთნაირობა «წვერ-მოჭრილის კალმის გასმა-გამოსმაზე ჰკიდია»,—ამაზედ ადვილი რაღა არის: მოჰსტეხე, ბიჭო, კალამს წვერი (მაინც მომეტებულს ნაწილს ჩვენებურ მეპადლოგეებს წვერ-მოტეხილი კალმები უჭირავსთ ხელში, უხეიროდ ხმარებისაგამო), დაჯექი და არდგინე პოდლოგები, ვისზედაც ქეიფი მოგივიდეს—იმის სახელზედ! აბა, მაშინ—თუ კარგი ექსპერტები არიან,—განჩხრიკონ და შეადარონ ნაწერები; აბა, მაშინ ამოარჩიონ მეპადლოგენი აი!!. დალახვრა ღმერთმა, ე რაღაც ჯანაბა მეცნიერება და გამოგონებანი არიან,—რაც გინდა კარგი და სასარგებლონი იყვნენ,—არ შეიძლება, თუ მავნე მხარე და საძაგლობა რამ არ ჰქონდესთ. აი, თუნდ ეს მრგვალი ხელი აიღეთ: ამბობენ, ადვილი სასწავლიაო, თვა-

ლი კომისიისაგან შედგენილი პროექტი. შემდეგს სხდომაზედ პროექტი უნდა საბოლოოდ განხილულ იქმნას, ხმოსანთაგან ხელმოწერილი და მასუკან წარსდგეს მთავრობასთან დასამტკიცებლად.

— ამ რამოდენიმე დღის წინად კიდევ გაუქურდნიათ ერთი ეკლესია ქართლში, თემამის ხეობაზედ, ს. მეტეხში. ქურდებს გაუტანიათ ხატი ღვთის-მშობლისა, კარებიანი, ვერცხლის ოქროთი დაფერილი. ეს ხატი იყო სიმაღლით ნახევარ ადლი, ხოლო სიგანით ერთი ჩარექი. ხატს უსხედს თვრამეტი დიდრონი იაგუნდი, ათიც საშუალო, ცამეტი წვრილი ფირუზი, ათიც საშუალო მარგალიტი, ოცდა ცამეტი წვრილი მარგალიტი; ნაწილები უსვენია ვერცხლში ორმოცდა თერთმეტი; ოთხ გირვანქიანი ვერცხლის ხატი, ოქროთი დაფერილი; გარედამ აქვს სამი გირვანქა დაუფერავი ვერცხლი.

მეორე ხატი იყო სამი ჩარექი სიმაღლე და სამი ჩარექი სიგანე. ამას ექნებოდა უმეტეს ოთხის გირვანქისა ვერცხლი თავის ოქროთი დაფერილი. ამასაც ჰქონდა რამდენიმე თვალი შვიდი თუ ცოტა მეტი. ეს ხატი არა ყოფილა ეკლესიის ნივთთა სიაში მოხსენებული. ამას გარდა მოიპარეს: 28 დიდი და პატარა იაგუნდი, 13 ფირუზი და 43 მარგალიტი.

— სექტემბრის 2-ს, დილის საათის 12-ზედ, თბილისში, ავლაბრის განყოფილებაში გაიხსნა ახალი სამოქალაქო სამკლასიანი სასწავლებელი. გახსნის დროს დაესწრნენ ბ. დირექტორი და ინსპექტორი თბილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლისა, ადგილობრივი პედაგოგები, დედ-მამანი ახლად მიღებულის მოწაფეებისა და გარეშე პირები.

ხსენებულ სასწავლებელში ასწავლიან: საღმრთო სჯულს, რუსულს, არითმეტიკას, ქართულს და სომხურს, აგრეთვე მსურველთათვის აქვე იქნება ლათინური ენის მასწავლებელი, მაგრამ ამ უკანასკნელთ მოწაფეთ ცალკე ხარჯი უნდა აძლიონ და ეს საგანი სავალდებულო არ არის. აგრეთვე სკოლაში საჭიროების კვალობაზედ გახსნილნი იქნებიან სახელოსნო განყოფილებანი, რათა მოწაფეთ აქ გათავების შემდეგ სატეხნიკო სასწავლებელში გზა არ შეეკრათ.

წლიური გარდასახადი ამ სკოლაში სწავლისათვის არის დანიშნული 8 მან., რომელიც ექვს თვეში ერთხელ ოთხ-ოთხი მანათის შეტანით უნდა გადაიხადონ. სწავლა ახლად გახსნილს სასწავლებელში დაიწყობა ოქტომბრის 2-ს, რადგანაც ამ დრომდის ყველა საჭირო ოთახების მომზადება ვერ მოესწრობა.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

სექტემბრის 4-ს

პეტერბურგი. „ჟურნალ დე-სან-პეტერბურ“, სამთა იმპერატორთა ერთმანეთის ნახვის გამო, ამბობს: სკერნევიცის შემთხვევა მეფობს პოლიტიკურს მდგომარეობაზედ. ჩვენს იმპერატორს სტუმრებად ჰყავს იმპერატორები გერმანიისა და ავსტრიისა. ფრანც-იოსები პირველად ეწვია ჩვენს ხელმწიფე იმპერატორსა და ეს ზდილობის აქტი ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ორთა სახელმწიფოთა შორის სუფევს ჩინებული დამოკიდებულობა. ვილჰელმი, თუმცა ძრიელ მოხუცია, არ დაერიდა დაღალვას და მოვიდა ვიზიტის გადასახდელად, რომელიც ჩვენმა ხელმწიფე იმპერატორმა გაუკეთა მას დანციგში. მისი იქ მყოფობა უფრო მნიშვნელობას აძლევს იმპერატორების ერთმანეთის ნახვას, შეკავშირებულთ მეგობრობის და საზოგადო პოლიტიკის ჯაჭვით. აი ამისათვის სამთა იმპერატორთა ერთად შეყრა მთელს ქვეყანაში იქმნება განმარტებულ ისე კი არა, როგორც დასაწყისი ახალის მდგომარეობისა, არამედ როგორც ნათლის მომფენი შემთხვევა აწინდელის წეს-წყობილებისა, როგორც დამტკიცება სრულის ერთსულობისა ყოველს დიდს საქმეში და როგორც ახალი ნიშანი საზოგადო მშვიდო-

---

ლებსაც კარგად შეუნახავს ყმაწვილებსაო და სხვა. ძალიან კარგია ყველა ეს ღირსებანი, თქვენმა მზემ! მაგრამ—ყველა ერთ-ნაირად დაიწყებს წერასაო—სწორე მოგახსენოთ---არაფრად მეჭაშნიკა. ძალიან სახიფათოა და! «როგორც მოგახსენეთ, ლუარსაბის კანჭ-გადახარიხებულ ბოზბაშის ჭამისა არ იყოს,---რაც გინდ «მაძღარი იყო», რაც გინდ ფულის მადა არ გქონდეს,—ხელი მაინც წაგიცდება—«ვსცადო მაინც, ისე, ტყუილადაო»... მაინცა-და-მაინც, ჩვენს დროში «ფულის მადა» ისე ძლიერია ყოველს წოდებასა და წრეში, რომ პადლოგს-კი არა—რას არ გაქმნევინებს!! (ან რას არ შვრებიან ჩვენს დროში!?!..)

* * *

მაგრამ, ბიჭო, მე პირობის ასრულებაზედ დავიწყე ლაპარაკი და რად გავები -- ეს ახლანდელი უპირობაო, ეს პადლოგებიო, ეს ესაო, ის... კიდევ! ბაუტია წინწიბურამ! არა, რატო ასე ენისლელი ნაზირისავით გადავსცემ!.. ჰო, მართლა, ძლივს არ მომაგონდა: წარსულს წერილში („დროება“, № 182) მკითხველს დავპირდი ორ-პირის ქუჩაზედ მოლაპარაკებას. ოღონდ ნუ გამიწყრებით და ინებეთ, მოისმინეთ და დასტკბით ამ მართლა და ბევრ გვარად შესანიშნავის ქუჩის აღწერით, თუ-კი შევიძელი, როგორც რიგია. კარგი და დიდებული წარსული აქვს ორ-პირის ქუჩასა. ეს ქუჩა გახლდათ ოდესმე უმთავრესს გზად, რომლითაც შემოდიოდა ქუთაისში და აქედამ მთელის კავკასიის აქეთა მხარეში ევროპიული საქონელი; ამ გზით დაიარებოდა ჩვენსკენ ევროპიდამ და რუსეთიდამ (ზღვით) მომავალი ხალხი. იმ ბედნიერს დროს ეს გზა იყო მშვენიერი, სუფთა, ქვიშა-მოყრილი და თითქმის განუწყვეტლივ მუდმივი მწმენდელ-დამგველ გამასწორებელი მუშა იდგა ამ გზაზედ, ასუფთავებდა და აკეთებდა, თუ საჭირო იყო. მოძრაობა მაშინდელის რკინის გზისა—ფურგუნებისა—განუწყვეტელი იყო დღე-და-ღამ. ეს ის დრო იყო, როდესაც დაბა ორ-პირი ფართფაშობდა და თავი მოჰქონდა თავის ჩინებული ვაჭრობით; როდესაც დაბა ორ-პირი „ბათუმობდა“; როდესაც იგი ქარვასლა და საწყობი ადგილი იყო მთელის ჩვენსკენ მომავალის ევროპიულის სავაჭრო-საქონლისა. მაგრამ, დახე „სოფლის მუხანათობას“ (განსვენებულის ლუარსაბისა არ იყოს!) როგორც ყველას და ყველაფერს,—ორ-პირის დიდებას და კეთილ-დღეობასაც ბოლო მოეღო: გაიხსნა რკინის გზა და ორ-პირიც დაეცა. ამ ჟამად, ეს ოდესმე ჩინებული და სიცოცხლით სავსე დაბა, დაცალიერებულია; აუარებელი საქონლის საწყობი სახლები და დუქნები ცარიელები ყრიან და ინგრევიან; სიცოცხლე აღარ სჩანს; აქა-იქ თითო-ოროლა „სკაპეცს“ თუ მოჰკრავ თვალსა... ორპირი დაეცა და მის შუამავალს ორ-პირის გზა-ქუჩასაც დაეკარგა თავისი მნიშვნელობა. ყველამ რკინის გზით დაიწყო სიარული და საქონლის ზიდვა, რადგანაც ჩქარიც იყო და იაფიც. „ზასტავა“ მოისპო ქუჩაზედ და მასუფთავებელი მუშებიც დაითხოვეს, თუმცა ახლაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქუთაისისათვის კერძოდ, რადგანაც მომეტებული ნაწილი ხორაგეულობისა, შეშისა და სხვ. ამ გზით შემოაქვსთ, მაგრამ ქალაქის პატრონებმა სრულიად აღარ უგდეს ყური და მისი ავ-კარგიანობა მოქალაქეებს—ღორებს მიანდვეს... უყურადღებოდ დატოვებული ქუჩა თან-და-თან გაფუჭდა და ბოლოს დროს იმ უკიდურესობამდინ მიაღწია, სადამდინაც, ვგონებ, ზიარის აღმართს (კახეთში) და მათიკაანთ ორღობესაც (ყვარელში) არ მიუღწევია!

მგელი რომ დაბერდება და აქა-იქ ბალნები ამოეფლითება, სწორედ ისეთ ამ ჟამად ორ-პირის ქუჩა: დაწყობილი წითელის (რკინის) ხიდიდამ—ქუთაისის სამრევლომდე—დასავლეთისკენ, ავდრების დროს წარმოადგენს ტალახის (ალაგ-ალაგ წყლისასაც) ზღვასა, რომელშიაც დაცურავენ ცხენები, ღორები, ჯორები, კაცები, ქალაქის ხმოსნები, დესეტნიკები, «თავი» და სხვანი და სხვანი ქ. ქუთაისის ბედნიერნი წევრნი... ვფიცავ დიდებულს ქოტიას, ხახმატსა და გმირს ქოპალეს, რომ ხშირად ამ ქუჩის ერთის ნაპირიდამ მეორე ნაპირზე ვერ გადავა კაცი, თუ ან აბელას ფეხები არ აბია, ან ერთ საჟენიან ორ-ოლ-ფეხზედ არა დგას!...

* * *

ხშირად სასაცილო, მაგრამ ამასთანავე სამწუხარო სურათები ხდება ორ-პირის ქუჩაზედ. ფრიად გასაჭირია გავლა ამ ქუჩაზედ მაშინ, ნამეტნავად, როდესაც მიცვალებულს მიასვენებენ: მთელი ქუჩა ტალახის ტბად არის გარდაქცეული და მღვდლები და გამცილებელნი იძულებულნი არიან განურჩევლად მუხლამდინ ურიონ ფეხები საშინელს მყრალს ტალახში! გუშინ, აგვისტოს 28-ს, ერთი ცხენზედ მჯდომი ქალი გადმოვარდა შიგ ტალახის გუბეში!.. სასაცილოა, განა, მკითხველო, სამწუხარო რომ არ იყოს?!...

გუშინვე, ხარაზოვის სახლებისა (რომელშიაც იმერეთის ცხენოსანი მილიცია დგას) და სხვა სახლებ-შუა, ქუჩაში უშველებელი გუბე დადგა (მთელს ქუჩაზედაც ნიაღვარი მოდიოდა) და მილიციონერებმა თავის ეზოსკენ, სადაც ვარჯიშობენ ხოლმე, ქვალოდი დააყარეს, რომ წყალი იქით არ გადასულიყო. მოვიდნენ დესეტნიკები ნიჩბებით და კეტით, დაშალეს მილიციონერების ნაშრომი და ამოდენა წყალმა გრიალი მოიღო მათს ეზოსკენ. გამოცვივდნენ მ—ები; დაუშალეს—არ დაიშალეს. მოუხდათ კინკლაობა და... ასე გახდენ ჩვენი წესიერების დამცველნი, როგორც სქელს თათარაში (ფელამუში) ამოვლებული ჩურჩხელები! (ესეც სამწუხაროა, მაგრამ მოდი და ნუ გაიცინებ ამ სურათის მნახველი)!.. წავიდნენ მუქარით, მაგრამ... ჰმ, კაი ამბავია, თქვენმა მზემ: ქუჩების გაკეთებაზედ არ ზრუნავენ და, როდესაც გაუჭირდებათ სხვის სახლსა და ეზოს ეცემიან! არა: რომელი სახლის პატრონი მიჰსცემს ნებას, რომ ქუჩის ნიაღვარი თავის სახლ-ეზოსაკენ გადააგდებინოს!! სწორედ რომ საკვირველნი არიან ზოგი-ერთი ქალაქის გამგენი და წესიერების დამცველნი: „ნუ მიშლითო, ბრძანებდა და ჯავრობდა გუშინ ერთი წესიერების დამცველთაგანი, ნუ მიშლითო, თორემ «ზაარესტუიუ სეიჩასო»! საკვირველნი არიან საქმენი თქვენნი, გამგენო ქუთაისის ქალაქისანო!..

* * *

«ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიუმატესო». თავად გაუვალი იყო ორ-პირის ქუჩა და ეხლა უარესი საქმე დამართეს: დიდი სიკეთე ვუყავ ქუჩასაო, ბ. № მოათხრევინა თიხა თავის ეზოს გასაფართოებლად და მოთხრილი თიხა ქუჩაზედ დააყრევინა კაი მანძილზე. მაგრამ რაო, მერე სიკეთის მეტი ხომ არა უქნია-რა: თხელი ტალახი იყო და ცოტათი გაასქელა; საზოგადოებისათვის თავის სარგებლობის ნაცვალებაც ამასა ჰქვიან! თავის საკუთარის მამულიდგან მიწა (და ისიც თიხა!) აიღო და საზოგადო ქუჩაზედ სხვის სახლების წინ დააყრევინა! მერე, რა საკვირველის თვისების თიხა ჰქონის ბ. №: ისე ეკვრება მიკარებულს საგანს, როგორც შრეში კი არა,—როგორც კარგი მოჩუხჩუხებული წებო; უხაროდეთ დურგლებს: ეს ორი კვირაა თურმე წებოს მაგივრად ამ თიხას ხმარობენ ხეების დასაწებებლად... ესეც ხომ საზოგადო სიკეთეა! მაგრამ ეხლანდელს დროში ვინ-ლა ხედავს სიკეთესა! ყველა ამ საზოგადო სარგებლობასთან, ცოტა თავისი სარგებლობაც ჰქონია თიხის პატრონს (მაინცა-და-მაინც სულ სხვაზედ ზრუნვა და თავის-თავის სრულიად დავიწყება და უნუგეშოდ დატოვებაც არ ვარგა!): «რადგანაც ჩემი სასახლე ყვითლად არის შეღებილი, უფიქრია ბ. №, ქუჩასაც რომ ყვითელი ფერი მიეცეს—ჩემი სახლი უკეთესად დამშვენდებაო“. ამ აზრით აუღია და თავის საკუთარი მიწა საზოგადო ქუჩაზედ დაუყრია... საზოგადო მომჭირნეობაა, მარა ჯანაბაა! აბა სხვაგან მიჩვენეთ ამისთანა კაცები! განა ბ. №-ს არ შეეძლო სხვაგან შორს სადმე, სადაურიც იგია, წაეღო თიხა; მაგრამ, როდესაც კაცს საზოგადოებისთვის კეთილი უნდა, რას იზამ, ხომ ვერ დაუშლი. მერე ჩვენი ქალაქის მზრუნველნიც «ხათრი-მათრიანები» არიან... და რამდენი ბ. №-თანა საზოგადო მომ-

ბიანობისა. ამას იქით ყოველს ახალს საქმეს სამთა იმპერიათა მმართებლობანი დახვდებიან ცალ-ცალკე კი არა, არამედ შეერთებულნი ერთად სამოქმედებლად იქ, სადაც მათნი ინტერესნი მოთავსებულნი არიან, და მოათავსებენ იქ, სადაც იგინი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, რათა ამ გვარად თანხმობით დაიცვან უმაღლესი ინტერესი წესიერებისა, კანონისა და მშვიდობიანობისა. სამთა იმპერატორთა შეყრა არის ახალი ძვირფასი დამტკიცება თანხმობისა სამთა იმპერიათა შორის და მათის მშვიდის პოლიტიკისა; ეს თანხმობა, რომელიც დიდს პატივსა სცემს სხვების უფლებასა და თხოულობს მხოლოდ სრულს ურთიერთობას, ყოველგან მორიგების და დამშვიდების აზრით იჩენს თავს და ამასთანავე სასტიკად ადევნებს თვალ-ყურს დადგენილი წესის მტერთ და საზოგადო მყუდროების დამრღვევთ საიდუმლო მოქმედებათა, რომელთათვისაც ანარხია და შემუსვრა საუკუნოებრივთა დაწესებულებათა არის უკანასკნელი სიტყვა ,,წარმატება კაცობრიობისა''.

სკერნევიცი. იმპერატორი ფრანც-იოსები მოვიდა აქ გუშინ შუადღეს უკან ორს საათზე. 12 წამის წინად მატარებლის მოსვლამდინ მოვიდენ სტანციიზე. ხელმწიფე იმპერატორი ავსტრიული მუნდირით და ლენტით, მემკვიდრე ცესარევიჩი რუსული მუნდირით და ავსტრიული ლენტით, დიდნი მთავარნი ვლადიმირ ალექსანდრეს-ძე და ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ავსტრიული მუნდირებით და ლენტებით; მასუკან მოვიდენ ხელმწიფე იმპერატრიცა და დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული. იმპერატორმა ფრანც-იოსებმა, რომელიც იყო რუსული მუნდირით და ანდრიას ლენტით, სამჯერ აკოცა ხელმწიფე იმპერატორსა და ხელმწიფე იმპერატრიცას ხელზედ აკოცა. ამალის გაცნობის შემდეგ, ავსტრიის იმპერატორი ხელმწიფე იმპერატრიცასთან ერთად სასახლეში წავიდა ეტლით. გუშინვე მოვიდა აქ შუადღეს უკან 4 საათზედ გერმანიის იმპერატორი ვილ-ჰელმიც, რომელსაც მას ვოგზალზე: ხელმწიფე იმპერატორი, მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდნი მთავარნი: გიორგი ალექსანდრეს-ძე, ვლადიმირ ალექსანდრეს-ძე და ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე უფროსი — ყველანი პრუსიული მუნდირებით და შავი არწივის ლენტებით; მოვიდა თუ არა მატარებელი, ვოგზალზე მოვიდენ აგრეთვე ხელ-გაყრილნი ფრანც-იოსები და ხელმწიფე იმპერატრიცა, იმპერატორი ვილ-ჰელმი მოეხვია და რამდენჯერმე დაჰკოცნა ხელმწიფე იმპერატორსა, ხოლო დედოფალს ორჯერ აკოცა ხელზედა; შემდეგ იმპერატორმა ვილ-ჰელმმა თავი დაუკრა რუსეთის გენერალიტეტს, — და ხელმწიფე იმპერატორმაც გერმანიის გენერალიტეტი მოიკითხა და თავ. ბისმარკს გულიანად ჩამოართვა ხელი გირსმა და კალნოკიმ მეგობრულად მოიკითხეს თავ. ბისმარკი, ვოგზალიდგან გამოსვლის შემდეგ იმპერატორი ვილ-ჰელმი და ხელმწიფე იმპერატრიცა ერთად წავიდენ სასახლეში ეტლით და მათ შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატორი ფრანცო-იოსები. საღამოზედ თეატრალური შენობის დარბაზში სადილი იყო 86 კაცისთვის.

სექტემბრის 5-ს.

პეტერბურგი. «გათცუკის გაზეთს» გამოეცხადა მესამეჯერ გაფრთხილება და თან ერთის თვით შეყენებულ იქმნა მისი ბეჭვდა იმ წესის თანხმათ, რომელიც მოხსენებულია 1882 წ. დებულების პირველ მუხლში; შეყენებულ იქმნა იმის გამო, რომ ორჯერ გაფრთხილების შემდეგ, მან არ შესცვალა გასაკიცხავი მიმართულება.

სკვრნევიცი. გუშინ, დილით, სასახლის წინ იყო გამართული პარადი

---

ჰირნეები გვყავს ჩვენ!! ნეტავი ქუთაისს! დიაღ, ნეტარება ქუთაისს!!.

***

ოურ-პირის ქუჩის ტალახის ზღვად გარდაქცევამ გამოიწვია ქალაქის მზრუნველთაგან შემდგარი კონფერენცია ქალაქის თავის თავს-მჯდომარეობით. კონფერენციის ნაყოფი გახლავთ საყოველთაო ულტიმატუმი, რომელიც სიტყვა-სიტყვად მომყავს, რადგანაც, ვინ იცის, იქნება ,,დროების'' მკითხველთა შორისაც აღმოჩნდეს ვინმე მონაწილეობის მისაღებად. ერთი ულტიმატუმი დესეტნიკის ხელით (რომელმაც გუშინ კაი ტურაობა გამოიჩინა) საფრანგეთის გამოჩენილს ადმირალს პურბეს გაუგზავნეს და იწვევენ ოურ-პირის ქუჩის მომავალის ფლოტის ადმირალად; ხოლო მეორე — ლესეპსს, რომელსაც მეორე ოურ-პირის ქუჩის მსგავსს ხელოვნურს ტალახის ზღვას უკეთებინებენ... ჯამაგირიც დაუნიშნეს: პირველს ოთხი მან. და ათი შაური თვეში და მეორეს გადაჭრით ჩვიდმეტი მან. და სამ კაპეიკ-ნახევარი! აი თვით საყოველთაო განცხადებაც: ,,განცხადება''.

«პინაიდგან ყოველმა ჩვენგან ნახმარმა ლონის-ძიებამ (სტყუიან, ღმერთს გეფიცებით: არავითარი ლონის-ძიება არ უხმარიათ!) ოურ-პირის ქუჩის გაკეთებისათვის უქმად ჩაიარა და ხსენებულს გზაზედ მიმომსვლელნი-კი შეწუხდენ, ამისათვის გარდავწყვიტეთ ამ ქუჩაზედ ურმებ-ფაეტონების მაგივრად ცეცხლის გემების დაწესება ხალხის და ლორების (წარმოიდგინეთ: ლორებიც-კი შეწუხებულან და მათთვისაც-კი ზრუნავენ!) გადასაყვან-გადმოსაყვანად ერთის ნაპირიდამ მეორეზე და ერთის თავიდამ მეორემდე. ვაცხადებთ-რა ამას საყოველთაოდ, — მოვიწვევთ ყველას, ვისაც სურს იჯარით აღება გემების მუშაობისა. ვინც სურვილს განაცხადებს პირველად (დასწრებაზეა საქმე!), — ვსთხოვთ დაუყოვნებლივ ფულიც გამოგვიგზავნონ, რადგანაც ჩვენი ხაზინა ჰა — ძლივს-ღა ჰფეთქავს. თავს-მჯდომარე კონფერენციისა ლუარსაბ მორგლევიპაშვილი».

«დამატება: «ყოველმა მსურველმა უნდა იცოდეს, რომ, რადგანაც რუსთველის დროის ქართული გემები (რომლითაც იგი მოვიდა ათინიდგან) არსად მოიპოვებიან, ამიტომ მოიჯარადრე ვალდებულია უეჭველად იმ გვარი გემები იქონიოს ოურ-პირის ქუჩაზედ, რომელთ შემწეობითაც თემისტოკლმა დაამარცხა სპარსთა მეფე ქსერქსი სალამინის კუნძულთან 480 წ. ქრ. უწინ; ან არა-და იმისთანანი, რომელთ საშუალებითაც რომაელთა სარდალმა სციპიონმა გარდიყვანა ჯარები კართაგენის დასაპყრობად 200 წ. ქრ. უწინ». — ეს გახლავთ განცხადების შინაარსი.

ჯერ-ჯერობით ესეც კმარა ოურ-პირის ქუჩაზედ და რაც დარჩა, ის შემდეგისათვის იყოს, — არა უშავს-რა...

***

მეცხრამეტე საუკუნე განათლებული საუკუნეაო — ამბობენ ხოლმე. ღმერთი ამის მთქმელის ოჯახსააშენებს, როგორც მართალი ეს იყოს! განათლებული რომ იყოს, განა ამისთანა განსაცვიფრებელი ამბები მოხდებოდა, როგორიც ამ უმანკო ქალაქში ხდება თითქმის ყოველ-დღე. აი, თუნდ აქაური კათოლიკების პატრი და ამათივე სკოლის კომიტეტის და მასწ. საქმე აიღეთ. წარსულს ხუთშაბათს იმ საქმეზედ, რომელიც «დროების» მე-182 №-ში მოგახსენეთ, თბილისიდამ მობრძანდა გამოსაძიებლად პრელატი (უფროსი პატრი) და მიიწვია მთელი კათოლიკეთ საზოგადოება კრებაზედ. კრებაზედ ბ. რევიზორმა წარუდგინა საზოგადოებას სკოლის პროგრამა, რომელიც 699 წ. მირვან-ყრუმ შეადგინა საქართველოს სკოლებისათვის ლანკასტერის მეთოდზე — ამ პროგრამით უნდა ასწავლოთო თქვენს შვილებსაო, რადგანაც ჩვენ, მღვდელნი, ვერ ვიცნობთ კომიტეტისაგან წარმოდგენილს ვიღაც პესტალოცის, დისტერვეგსა, კომენსკისა და სხვებსაო. მე თვითონაც მისწავლია ლანკასტერის მეთოდითაო, — დაურთო ბოლოს პრელატმა...

კომიტეტმა უმეცარის მასწავლებლითურთ თავისებურად შესცვალეს პროგრამა, და რაღაც თანამედროვე პედაგოგიის მოთხოვნილებათა მიხედვით უნდა იყოს სკოლის საქმე დამდგარიო, ე. ი. სამშობლო ნიადაგზეო. რასაკვირველია, ვინც განათლებული იყო და ნამდვილი მოწაფე მ. პატრისა — ვაჭარი, დახლიდარი, დალალი, მეწვრილმანე და სხვა ამ გვარნი — ლანკასტერისა და მის წარმომადგენლის მხარე დაიჭირეს და სხვებმა-კი, რომელნიც უმეცარნი იყვნენ და არც ლანკასტერისა გაეგებოდათ რამ და არც დალალობისა, — მიემხრენ კომიტეტსა (აბა, თუ ეშმაკისაგან არ იყვნენ ჩაგონებულნი, თავიანთ მოძღვარს გადაუდგებოდენ?!). საუბედუროდ, როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე ამ უმეცარს მეცხრამეტე საუკუნეში, ამ უკანასკნელთ უმრავლესობის უმეცრებამ გაიმარჯვა და სკოლა სამშობლო და ახლანდელ პედაგოგიურ მოთხოვნილებათა ნიადაგზედ დარჩა! დიაღ, გაიმარჯვა კომიტეტისა და ა — შვილის ჯიუტობამ; დაითრგუნა მირვან-ყრუს ჩინებული პედაგოგიური მოსაზრებანი და შეხედულობანი და ჩაიშალა გენიალური და დიდად საქებური აზრი სკოლის შესახებ...

ოჰ, მრისხანე არმაზო, შვიდხელიანო ბოჩო! გადმოიხედე ამ უსამართლო ქვეყანაზედ და შენის მძლავრის შვიდის ხელით მოსრნე, გაანადგურე შვიდი წევრი კომიტეტისა და უპირველეს ა — შვილი, რათა შეწუხებული გული მ. პ — სა განიკურნოს... იუპიტერო! წარმოსთქვი მრისხანე სიტყვები შენს დიდებულს ლათინურს ენაზედ და ხმა ჩააკმენდინე ამ ქართულად მოსაუბრე ა — შვილსა!.. უმეტესობამ კიდევ ეს დაადგინა: შენ (პ — რო) საღმრთო რჯული ასწავლე და სკოლის სხვა საქმეში ცხვირსაც ნუ შეჰყოფო! გაგონილა, ლანკასტერის მომხრეს ასე სასაცილოდ აგდება! ითმინა, ითმინა სულ-გრძელმა და ვნებულმა მ. პ — მა და კვირას, კათედრიდამ შემდეგი მწარე სიტყვები წარმოსთქვა: «რადგანაც თქვენ მე ვერ მიცანით (კი იცნეს!!) და ჩემი ჩინებული და თქვენი განმადიდებელი აზრები ზედ თავზედ დამახალეთ, — თქვენს მოძღვრად ყოფნა აღარ ძალ-მიძს!» კიდევ უნდა ეთქვა რაღაც, მაგრამ მსმენელთ ქვითინმა (არ-კი ვიცი: სიხარულისამ, თუ სიმწუხარისამ) გააწყვეტინა სიტყვები. მისცვივდა ხალხი — სად, მიხვალო, შორსა, თუ ახლოვო; მალე თუ გვიანო!? მოძღვარმა პასუხი არ მისცა და სახლში დაბრუნდა საუზმედ... კრების გარდაწყვეტილება და რევიზორის და პ — ისა მათის თანამოაზრებითურთ ცალკ-ცალკე გაგზავნეს ეპისკოპოსთან, რომელმაც, არავინ უწყის ჯერ, როგორ დააბოლოვებს... ქველა-ყველა, და ე ქალები რაღამ დაასულელათ! კვირასვე წირვის შემდეგ მოგროვილან კათოლიკეთ ქალები და დეპუტაცია მიუგზავნიათ რევიზორთან სათხოვნელად: რაც კომიტეტმა გარდასწყვიტა, — ის გარდაწყვეტილება გაგზავნეთო და იშუამდგომლეთ მის დამტკიცებაზეო. მოდი შენა და თქვი რამე ამის შემდეგ: არა, რა ამათი საქმეა, თქვენი ჭირიმეთ, სკოლის საქმეში გარევა: «არა მკითხე მიამბეო, მიტყიპე და მიაგდეო» — სწორედ ასე უნდათ ამ ქალებსაც...

«დროება გამოიცვალა; დიაღ, დროება გამოიცვალა: რაც ე რაღაც სკოლები შემოიღეს, დაგიქდა ჩვენი ხალხი, ნამეტნავად ყმაწვილო უმანდილომანდილოსნები!»

ვათავებ ამ წერილს განსვენებულის ლუარსაბის სიტყვებითა დიაღ, ახლა დაჩუმება და გათავება სჯობია»...

ბოლოს მშვიდობით ბრძანდებოდეთ, მკითხველო და ბ. რედაქტორო! გმადლობთ პირობის ასრულებისათვის და იმედი მაქვს, კვლავაც არ მიმტყუნებთ. ზოგი შემდეგისათვის გახლდეთ.

თქვენი პატივის-მცემელი
„რაულ-დე-ლა-ტრამბლე.“

ქ. ქვა-თავისი.
მარიამობისთვის 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტერბურგისა და ქექსგოლმის გრენადერის პოლკების ორის ბატალიონისა, რომელთა შეფებად ირიცხება იმპერატორი გერმანიისა და ავსტრიისა; ჯართ დათვალიერების შემდეგ იმპერატორები მიუახლოვდენ დედოფალს და დაიწყო ცერემონიალური მარში; იმპერატორი იოსები და ვილჰელმი თავ-თავიანთ ვზვოდებს წინ მიუძღოდენ, ხელმწიფე უკან მისდევდა, ჯერ ავსტრიის იმპერატორს და მერე გერმანიისას; პარადის შემდეგ ისაუზმეს და შემდეგ მათი უდიდებულესობანი და მათი უმაღლესობანი სანადიროდ წაბძანდენ; როცა დაბრუნდენ, ისადილეს და მას შემდეგ დაესწრნენ სახალხო წარმოდგენას. დღისით მობძანდა მიხეილ ნიკოლოზის-ძე მეუღლით და შვილებით მიხეილ და გიორგითურთ. სალამოზედ პეტერბურგს წაბძანდა მემკვიდრე ცესარევიჩი და გიორგი ალექსანდრეს-ძე.

ნეაპოლი. ხოლერა სუსტდება, უკანასკნელ დღე და ღამეში ავად გახდა 432, მოკვდა 141 კაცი.

პარიჟი. ჩინეთი ცდილობს, რომ ნეიტრალურმა სახემწიფოებმა შუამავლობა გასწიონ, მაგრამ აქაური სამართველო წრეები წინააღმდეგნი არიან, რომ საქმე მედიატორეთა მსჯავრით გადასწყდეს.

# ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდის.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდის. საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლელად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლელად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—საქირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლელად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოურილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა: გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორომზა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლელად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლკოვსკი კბილის ტკივილის საწამლელად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექნებათ.

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა | 1 | გირ. | 5 კ. |
| აქაური ფქვილისა: პირველის ხარისხისა | 1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |
| მეორისა | 1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | 1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორისა | 1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა | 1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3\frac{1}{2}$ |
| მესამისა | 1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | 1 | გ. | 7 კ. |
| მეორისა | 1 | გ. | 6 კ. |
| სუკი | 1 | გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 | გ. | 7 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | 1 | გ. | — კ. |
| მეორისა | 1 | გ. | — კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.

თბილისიდამ მარტო ხაშურამდის
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

# განცხადებანი

ძმ. ჭილაძეთა წიგნის მაღაზიამ ქუთაისში.

მიიღო ყოველგვარი ქართული და რუსული წიგნები, რვეულები, დაფები და კანცელიარული მასალები. (5—4)

ინგლისური რკინის კრაოტები.



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, სავარძლები, სამოვრები, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებით, თეფშები, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, საუფორვნიკე, საწყაო, სკები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თებშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის სათვხეები, უნაგირები კაცისა და ქალისა; აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბანლო მაკრატლები, კანსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარიბები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუჭი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ქმალის [illegible] ბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—47)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2—,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალეზები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—59)

## პანსიონი ა. მირზაშვილისა.

ბადავიდა ელიზავეტინსკის ქუჩაზედ, ტერ-სააკოვის სახლებში, № 114.

მოწაფეთ მიღება სექტემბრის 1-დგან დაიწყობა. (10—8)

## *** არწრუნისეულ ქარვასლაში

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—3)

## ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—65)



მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

## ვაჭრობა საღებავებით

კავკასიის ამხანაგობისა (გრაფის ქუჩა მუზეუმის პირდაპირ.)

საღებავები ხმელი და თხელი შეზავებული ზეთით.

ლაქი ზეთიანი და სპირტისა, სხვა-და-სხვა გვარი ხანგალი (კისტი) და ყოველნაირი კუთვნილებანი საღებავით ვაჭრობისა—აქვე შეიძლება იშოვონ ერთგვარი თხელი ნივთიერება, რომელიც სინოტივეს აცილებს თავიდამ. ხე, ქვა ანუ აგური, ამ ნივთიერებით დაფარული (Enduit - hydrofuge)—მიუკარებელია სინოტივესათვის.

სხვა ქალაქებიდამ მოთხოვნილებანი კმაყოფილდებიან დაუკვირებლად. (70—54)

Доз. ценз. Тифлисъ, 5 Сентября 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი